




# ხაშურის მთაშუა



№16 (197)

22 აპრილი, ორშაბათი,

2019 წელი

## მოსწავლეები თვითმმართველობის არსს და პრინციპებს ეცნობიან

ხაშურის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობა სხვადასხვა სკოლის მოსწავლეებს მასპინძლობდა.

შეხვედრის მიზანი იყო ახალგაზრდების ინფორმირება ისეთ საკითხებში, როგორცაა ადგილობრივი თვითმმართველობის არსი და პრინციპები, ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტი, მოქალაქეთა თანამონაწილეობა თვითმმართველობის განხორციელების პროცესებში და სხვა.

პროექტს უძღვევოდა GIZ გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების მოწვეული ექსპერტი ლიზა სოფრომაძე.

პროგრამაში აქტიურად იყვნენ ჩართულები მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს წარმომადგენლები, რომლებმაც დეტალურად აუხსნეს მოსწავლეებს მუნიციპალიტეტის კომპეტენციები და უფლებამოსილების განხორციელების გზები.

შეხვედრა ჩატარდა მერიის ადმინისტრაციული სამსახურის, საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილებისა და ადგილობრივი საგანმანათლებლო რესურსცენტრის ორგანიზებით.



## - ინფრასტრუქტურა - ხცისი - კრისხაპის გზის ორკილომეტრიანი მონაკვეთი მოასფალტდება

ხაშურის მუნიციპალიტეტში, სოფელ ხცისიდან სოფელ კრისხაპამდე გზის მოასფალტების სამუშაოები ხორციელდება.

პროექტი 2150 გრძივი მეტრი მონაკვეთის მოწყობას ითვალისწინებს.

სამუშაოები სამი თვის განმავლობაში გაგრძელდება.

პროექტის ჯამური ღირებულება 827 606 ლარია.

სამუშაოებს ადგილობრივი ბიუჯეტი რეგიონული განვითარების ფონდთან ერთად აფინანსებს.

მკითხველს, ალბათ, კარგად ახსოვს პარტია „ქართული ოცნების“ წინასაარჩევნო დაპირება, რომ უახლოეს წლებში, საქართველოში, სოფლებიდან მუნიციპალიტეტების ცენტრებში მისასვლელი გზები მოასფალტდებოდა. ეს პროგრამა უკვე მოქმედებაშია და ამას ზემოაღნიშნული ინფორმაციაც ადასტურებს. როგორც მერიაში აცხადებენ, არც სხვა სოფლები დარჩება უყურადღებოდ და შემდგომ პერიოდში მსგავსი სამუშაოები სხვა სოფლებშიც განხორციელდება.

## - “მომავლის სახლის” აქციოვნები - შესაძლებლობები შეუბღუდავია, შესაძლებლობები მხოლოდ პირობითი ცნებაა

გასული კვირა, განვითარებისა და კეთილდღეობის ცენტრ “მომავლის სახლისთვის” განსაკუთრებული მნიშვნელობის იყო. ცენტრმა სხვადასხვა სააღდგომო ღონისძიებაში მიიღო მონაწილეობა. 16 აპრილს, “მომავლის სახლის” ექვსი ბენეფიციარი, ელენე ახვლედიანის სახელობის ბავშვთა სურათების გალერეას სტუმრობდა, სადაც წარმოდგენილი იყო შშმ ბავშვების მიერ ხელით ნაკეთი ნივთები, ნახატები, ტიხრული მინანქრის სამკაულები. გამოფენის პარალელურად, გაიმართა კონცერტი, რომელშიც საქართველოში მცხოვრებმა, 31-




მა შშმ ბავშვმა მიიღო მონაწილეობა. “მომავლის სახლის” ბენეფიციარების მიერ შესრულებულმა მუსიკალურმა თუ ქორეოგრაფიულმა ნომრებმა, მაყურებლის დიდი მოწონება დაიმსახურა. კონცერტის ბოლოს, რამდენიმე კომპანია, ბავშვებს სააღდგომო საჩუქრები გადასცა.

არანაკლებ ემოციური და მნიშვნელოვანი იყო, 18 მარტს, პარლამენტში გამართული საქველმოქმედო ღონისძიება “შეზღუდულობა მხოლოდ პირობითია”, სადაც რამდენიმე დღის ცენტრის ბენეფიციართა ნამუშევრები იყო წარმოდგენილი. “მომავლის სახლის” ბენეფიციართა ნამუშევრებმა აქაც დიდი მოწონება დაიმსახურა, რამდენიმე ნივთიც გაიყიდა, რაც ბავშვებისთვის დიდი სტიმული აღმოჩნდა. სამომავლოდ, “მომავლის სახლის” ადმინისტრაცია, ბევრ ღონისძიებას გეგმავს, რომელიც კიდევ ერთხელ გვიმტკიცებს, რომ შესაძლებლობები შეუზღუდავია და რომ ეს მხოლოდ პირობითი ცნებაა.



ამ რამდენიმე ხნის წინ, ქართველი ერის ღირსეული შვილის, ჩვენი თანამემამულის, გრიგოლ კიკნაძის დაბადებიდან 100 წლისთავის საიუბილეოდ ხაშურში ჩამობრძანებულ ღირსეულ სტუმართა შორის იყო ბატონი მიხეილ ქავთარია. მასთან შედეგა ჩვენი, ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის თანამშრომლების პირველი ნაცნობობა მასთან – დიდ მეცნიერთან და ქართული ხელნაწერების მოამბესთან. გავაოცა მისმა სურვილმა-დავეხმარებოდა და მონაწილეობა მიეღო (კონსულტაციებით) ჩვენი მუზეუმის ფონდებში დაცული ნახევრების სიგელებისა და სხვა ნოტარიული საბუთების ინვენტარიზაციის საქმეში. ბატონი მიხეილ მუდამ იყო ჩვენი მუზეუმის ქომაგი და პატივისცემელი, მოუხაროდა ნებისმიერ სამუზეუმო ზეიმსა თუ ღონისძიებაზე, საფუძველი ჩაუყარა ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრსა და ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმს შორის მრავალმხრივ თანამშრომლობას. მოხიბლულები ვიყავით მისი უშუალოდ და ადამიანური კეთილშობილებით. მუზეუმელები ეუბრთ-

## - ქართული მეცნიერების დიდი დანაკლისი - ნათელი ადამიანი



დებით მთელი ქართველი ერის წუხილს და ქართული ხელნაწერების დიდი მოამბის, შესანიშნავი ტექსტოლოგისა და კოდიკოლოგის, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორის, აკადემიკოსის, კ. კეკელიძის ხელნაწერთა ინსტიტუტის მეცნიერ – კონსულტანტის, მიხეილ ქავთარიას გარდაცვალებას ვუსამძიმრებთ მის ძვირფას ოჯახს, ახლობლებს, ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრს და სრულიად საქართველოს.

მიხეილ ქავთარია დაიბადა ქ. ხაშურში, 1929 წლის 19 სექტემბერს. მისი მშობლები პედაგოგები იყვნენ. მამა-ნოე მიხეილის ძე ქავთარია ქართული ენის და ლიტერატურის მასწავლებელი იყო. ერთი პერიოდი იგი ხაშურის რაიონის განათლების განყოფილების გამგეც ყოფილა. დედა – ზინაიდა ამფილოქის ასული ცინცაძე დაწყებითი კლასების მასწავლებელი იყო (იგი კათალიკოს – ბატონარქ კალისტრატეს (ცინცაძის) ძმისშვილი და აკადემიკოს კორნელი კეკელიძის დისშვილი იყო). მამა ადრე გარდაიცვალა, 1945 წელს, დედა – 1981 წელს.

მიხეილ ქავთარია სწავლობდა ხაშურის რკინიგზის №16 ვაჟთა სკოლაში, რომელიც 1947 წ. მედლით დაამთავრა. ამავე წელს, სწავლა გააგრძელა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე, რომელიც 1952 წელს წარჩინებით დაამთავრა. 1954-1957 წლებში, სწავლობდა თსუ ასპირანტურაში ძველი ქართული ლიტერატურის სპეციალობით. (ხელმძღვანელი – აკადემიკოსი კორნელი კეკელიძე). ასპირანტურის კურსის დასრულების შემდეგ, მიხეილ ქავთარია მუშაობას იწყებს ახლადგახსნილ ხელნაწერთა ინსტიტუტში, სადაც ბოლომდე ერთგულად ემსახურებოდა საყვარელ საქმეს. აქ მან თანამიმდევრულად გაიარა მეცნიერული და ადმინისტრაციული საქმიანობის ყველა საფეხური. ინსტიტუტში მუშაობა უმცროსი მეცნიერ-მუშაკობით დაიწყო. 1960 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „ბესარიონ ორბელიშვილის ცხოვრება და შემოქმედება“, რომელიც ეძღვნება XVII - XVIII საუკუნეების ერთ-ერთ გამოჩენილ მწერალს. გამოვლენილი იქნა დასახელებული ავტორის სრულიად უცნობი თხზულებები, რომელთა მნიშვნელობა გვიანფორმალური ხანის ქართული პაგიოგრაფიული მწერლობის ისტორიაში ჯერ კიდევ შეუსწავლელი იყო.

1965 წელს გამოქვეყნდა მიხეილ ქავთარიას მონოგრაფია „დავით გარეჯის ლიტერატურული სკოლა“, რომელშიც მთელი სისრულით იქნა განხილული დავით გარეჯის ლიტერატურულ-შემოქმედებითი ცენტრის მნიშვნელობა გვიანფორმალური ხანის ქართული კულტურის ისტორიაში.

1977 წელს წიგნად დაისტამბა ნაშრომი სათაურით: „ძველი ქართული პოეზიის ისტორიიდან XVII-XVIII საუკუნეებში“. რომლითაც სპეციალისტებისათვის ცნობილი გახდა პიმონოგრაფია ახალი სახელები. ამავე წელს, გამოქვეყნდა მისი წიგნი „XVIII საუკუნის ქართული საზოგადოებრივი ისტორიიდან“, რომელშიც წარმოდგენილია ანტონ I-ის ეპისტოლარული მემკვიდრეობა. გამოვლენილია უცნობი დოკუმენტები, რომელთაგან აღსანიშნავია ამბროსი ნეკრესელის არქივის ნაშთი.

1980 წელს დაიბეჭდა ძველი ქართული პაგიოგრაფიული ძეგლების VI ტომი, რომელშიც ანტონ პირველის „მარტირია“ შესული. 1989 წელს გამოიცა ამავე სერიის V ტომი, რომელშიც შევიდა XVIII საუკუნის პაგიოგრაფიული ძეგლები. მიხეილ ქავთარია არის ორივე ტომის თანაავტორი ე. გაბიძაშვილთან ერთად.

1981 წელს, მიხეილ ქავთარიამ დაიცვა სადოქტორო დისერტაცია „XVII - XVIII საუკუნეების პიმონოგრაფია“ (ტექსტები და გამოკვლევები).

1985 წლიდან ბატონი მიხეილი ახალ თანამდებობრივ საფეხურზეა ხელნაწერთა ინსტიტუტში. 1989 წლამდე იგი საარქივო ფონდების განყოფილების გამგეა, ხოლო

1989-2004 წლებში – დირექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში.

საინტერესო გამოკვლევა მიუძღვნა ბატონმა მიხეილ ქავთარიამ ორბელიშვილთა (ყაფლანიშვილთა) ფეოდაური სახლის ისტორიას, რომელიც 1990-იან წლებში დაისტამბა.

მიხეილ ქავთარია დიდ ყურადღებას იჩენს სასულიერო პირთა მიმართ. ცალკე აღნიშვნის ღირსია ისეთი წიგნის გამოცემა, როგორცაა კათალიკოს კალისტრატეს (ცინცაძე) „ქვაშვეთის წმიდის გიორგის ეკლესია ტფილისში“ (1994 წელი) და მისივე მოგონებანი, „რაც განმასხვავდა“ (ბოლო წიგნი გამოსაცემათაა მომზადებული და დაიბეჭდება ფოტოლიუსტრაციებითურთ). ქართულ ფილოლოგიაში მნიშვნელოვან გამარჯვებას წარმოადგენს მიხეილ ქავთარიას მონოგრაფიული ნაშრომი „ბაგრატიონთა სამეფო სახლის გენეალოგიური ტაბულები“ (თანაავტორი – მზია სურგულაძე 1995 წ.).

მიხეილ ქავთარიას აქტიური მონაწილეობით (ნ. გოგუაძესა და რ. ჩაგუნავასთან ერთად განხორციელდა გამოცემა ისეთი სერიოზული წიგნისა, როგორცაა „აბუსერის ძე ტბელის თხზულებანი“ (1998 წ.). წიგნში წარმოდგენილ სამ ორიგინალურ ნაწარმოებთან ერთი უნიკალური პასქალურ – კალენდარული თხზულებაა – „ქრონიკონი“. განსაკუთრებული ყურადღების ღირსია გამოკვლევები, რომლებიც ბოლო წლებში გამოქვეყნდა: „დომენტი კათალიკოსის ბიოგრაფიის დაზუსტებისათვის“ (2002 წ.), „ვახუშტი ბატონიშვილის ისტორიის ახალი ხელნაწერი“ (2003 წ.), „ექვთიმე თაყაიშვილის არქეოგრაფიული მოღვაწეობა“ (2004 წ.). დასაბუთდად მომზადებულია წიგნი „ახალციხის ქრონიკები“, რომელშიც შესულია კათალიკოს მღვდლების დღიურები 1762-1844 წლების ისტორიული ფაქტების შესახებ ახალციხის რევიორში. უახლოეს ხანებში გერმანიაში გამოქვეყნდება „იაკობის ჟამისწირვის“ ტექსტი გამოკვლევითურთ. (მზ. შანიძის, ლ. ხევსურიალის, თ. ცერაძის თანაავტორობით). მზადაა კრებული წმინდა ნინოს ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ ხელნაწერთა ინსტიტუტის თანამშრომლებთან ერთად. მომზადებულია 700-გვერდიანი წიგნი კათალიკოს ამბროსი ხელაიას „მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში“ (1902 -1903 წ.).

მიხეილ ქავთარიას საქმიანობაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს არქეოგრაფიულ მუშაობას. იგი სისტემატურად მონაწილეობს ქართულ ხელნაწერთა აღწერილობების შედგენაში. მის მიერ აღწერილი ხელნაწერების ჩამონათვალი 50 თაბახზე მეტია. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს სინას მთის წმინდა ეკატერინეს მონასტერში აღმოჩენილი ქართული ხელნაწერების (ახალი კოლექცია) აღწერილობა. ბატონი მიხეილი სამჯერ იყო ამ მონასტერში, შეისწავლა და მეცნიერულად აღწერა (ზ. ალექსიძესთან, მზ. შანიძესთან და ლ. ხევსურიალთან ერთად ) 147 ხელნაწერი, რომელთა უმეტესობა X საუკუნით თარიღდება.

მიხეილ ქავთარიას რედაქტორობით გამოცემულია ათეულობით ნაშრომი, რომლებმაც დიდი როლი ითამაშეს ფილოლოგიურ მეცნიერებათა განვითარებაში.

მიხეილ ქავთარია იყო არაერთი სამეცნიერო წიგნის სარედაქციო კოლეგიის წევრი (აბულაძე ილია „პირადი არქივების აღწერილობა“, თბილისი, 2010; „ვახტანგ VI-ის სტამბის გამოცემები“, თბილისი; მიხეილ თარხნიშვილი-წერილები, ქართული ეკლესიის ისტორია, თბილისი, 1994; „ქართული ენა-ენციკლოპედია“, თბილისი, 2008 და სხვ.) და რეცენზენტის (მინხი იოანე. პოეზია“, თბილისი, 1987; „ვეფხისტყაოსნის აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისიის მთავარი რედაქციის სხდომათა ოქმები (1979-2006), თბილისი, 2013; ჯღამია ლალი „მთაწმინდელი გიორგი“, თბილისი, 2007; ფლავიოსი იოსებ „მოთხრობანი იუდაებრივისა ძუელსიტყუაობისანი-III, თბილისი, 2014; მესხი თამარ „სინა და საქართველო-ახალი ფურცლები მრავალსაუკუნოვანი ისტორიისათვის“, თბილისი, 2013; სილოვა ვალერი „სამეგრელო-აფხაზეთის ქართული ეპიგრაფიკა“, თბილისი, 2004; „ჯავახეთის ეპიგრაფიკული კორპუსი“, თბილისი, 2012; „ხახანაშვილი ალექსანდრეს ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი დოკუმენტების ცნობარი“, თბილისი, 1986; „მასალები XIX საუკუნის 60-90-იანი წლების საქართველოს საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრებიდან“, თბილისი, 1981; ბარამიძე რ. „ფარნავაზმან ძლიერ პეო ქუეყანა თვისი“, თბილისი, 1992 და სხვ.). მიხეილ ქავთარია იყო აღმანახ „მწიგნობარის“ სარედაქციო კოლეგიის წევრი მრავალი წლის განმავლობაში (2000-2015), სადაც მისი არაერთი საინტერესო კვლევა გამოქვეყნდა.



ბოლო წლებში მიხეილ ქავთარია კვლავ ხელნაწერთა ინსტიტუტში მოღვაწეობდა, მეცნიერ-კონსულტანტად. მის მეცნიერულ ურთიერთობას თან ახლდა არაჩვეულებრივი პიროვნული თვისებები: კეთილშობილება, თავმდაბლობა, ერთგულება, წესიერება, საოცარი სულიერება ადამიანებთან ურთიერთობაში, მათი დახმარების სურვილი. ბატონ მიხეილს უჩვეულო ადამიანური ხიბლი დაჰქონდა, კაცთმოყვარეობითა და მაღალი ზნეობით გაჯერებული. სრულიად განსაკუთრებული იყო მისი დამოკიდებულება ახალგაზრდა მეცნიერების მიმართ, იყო მათი ნიჭის პირველი დამფასებელი, თანამდგომი მეცნიერულ მოღვაწეობაში, მოხარული მათი წარმატების.

მიხეილ ქავთარიას ზეციურ საქართველოში გადავანება უდიდესი დანაკლისია ამქვეყნიური საქართველოსთვის.

მზია ლობჯანიძე,  
ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის  
ფონდების მთავარი მცველი

გაზეთის რედაქცია უერთდება ამ სამძიმარს და ღრმა მწუხარებას გამოთქვამს დიდი მეცნიერის - მიხეილ ქავთარიას გარდაცვალების გამო.



(გაგრძელება. დასაწყისი იხ „ხმ“ #5, 6, 7, 9, 11,12,14,15)

თაგვეტი – სოფელი, მდებარეობს თრიალეთის ქედის ჩრდილოეთ კალთაზე, მდ. მტკვრის მარჯვენა მხარეს. შედის ცხრაშუხის სასოფლო საკრებულოში. ხაშურიდან დაშორებულია 3 კილომეტრით. ზ. დ. 720 მ.

შედიოდა ისტორიული საციციანოს შემადგენლობაში.

თაგვეტი საინტერესოა არქეოლოგიური ძეგლებით, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ ადამიანი აქ უძველესი დროიდან ცხოვრობს. შემთხვევით მოპოვებულია მეტად საინტერესო არქეოლოგიური მასალა, რაც ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმშია დაცული. აქ არის ანტიკური და ფეოდალური ხანის არქეოლოგიური ძეგლები.

თაგვეტი ისტორიულ დოკუმენტებში XVII საუკუნიდან მოიხსენიება. ციციშვილების 1664-1673 წლებით დათარიღებული გაყრის საქმეზე შედგენილ განჩინებაში ნათქვამია: „ამოიღო ციციმ და ქაიხოსრომ საუფროსოთ თაგოეთს ტეტიაშვილი გიორგი, დღეს რისაც მამულის მქონე იყო“.

ამავე პერიოდის ერთ-ერთ დოკუმენტში, რომელიც ბააკა სახლთუხუცესისა და მამუკა მადრამის მამულის საქმეზე განჩინებას წარმოადგენს, ნათქვამია, რომ მამული „...თაგოეთის მიდგამადის სახლი-სუხუცესს დარჩა“.

1701–1703 წლებით დათარიღებულ ედიშერ და პაპუნა ციციშვილების გაყრის განჩინებაში თაგვეტთან დაკავშირებით შემდეგია ნათქვამი :

„ქ. ერთ წილათ თაგუეთს კონიაშვილი დათუნა, რისაც მამულის მქონებელი იყოს, ერგო ედიშერს.

ქ. ერთ წილათ თაგოეთს ტეტიაშვილი ბერი ამაზე აქვს ტეტიაშვილი იოვანე, ობლიძე ალექსი, დღეს რისაც მამულის მქონე იყვნენ, ერგო ედიშერს.

ქ. ერთ წილათ კტანიაშვილი შერმაზანა, ამაზე აქვს ობლიძე პაპუნას შვილები, ტეტისშვილი ბერუკა, რისაც მამულის მქონე იყოს, ერგო პაპუნას.

ქ. ერთ წილათ აფთარაშვილი გელია, რისაც მამულის მქონე იყვნენ, ერგო ედიშერს.

ქ. ერთ წილათ ობლიძე გიორგი და ლომი ერგო პაპუნას.

ქ. ერთ წილათ ბაბლიძე გიორგი, რისაც მქონებელი იყოს, ერგო ედიშერს.

ქ. ერთ წილათ ბაბლიძე მამუკა, რისაც მქონე იყოს, ერგო პაპუნას“.

ვახუშტი ბატონიშვილი იცნობს სოფელ თაგვეტს. იოანე ბატონიშვილიც იცნობს მას და მოიხსენიებს გვერდისძირის სოფლების აღწერისას. მის დროს თაგვეტში მოსახლეობა არ არის, რაც ლეკიანობის შედეგი უნდა იყოს.

თაგვეტის სახელწოდება ისტორიულ წყაროებში გვხვდება თაგუეთის ფორმით, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ იგი მომდინარეობს მისი სამხრეთით მდებარე გუეთის მთის სახელწოდებიდან. მთა გუეთიდან მიღებულია – თაგუეთი, თაგოეთი, ხოლო ამ უკანასკნელიდან თაგვეტი. –ეთ გეოგრაფიულ სახელთა სუფიქსია.

1886 წლის აღწერით, თაგვეტში 53 კომლი მოსახლეა. აქ ძირითადად იმერეთიდან გადმოსული ქართველი მოსახლეობაა წარმოდგენილი (193 კაცი და 153 ქალი, სულ 346 კაცი)

1925 წლისათვის თაგვეტში 67 კომლი ცხოვრობს.

აქ სახლობენ გვარები: ბლიაძე, ბერიძე, გელაშვილი, მალიძე, ციციქვილი, ფოცხვერაშვილი, ფცქიალაძე, ნოზაძე, ტაბატაძე, დევედარიანი, მულაძე, ზვიადაძე, გრიგალაშვილი, ჩადუნელი, ხანიძე.

თაგვეტში მდებარეობს ღვთისმშობლის ეკლესია, რომელიც ადრე ფეოდალური ხანით თარიღდება.

**თერგვისი** – ნასოფლარი ღიხის ქედის აღმოსავლეთ კალთაზე, მდ. ტილიანას აუზში. მდებარეობს ალის სასოფლო საკრებულოს ტერიტორიაზე.

თერგვისებსაც უწოდებენ.

ვახუშტი და იოანე ბატონიშვილები ამ სოფელს არ იცნობენ. ისტორიულ დოკუმენტებში XVIII ს-ის 80-იანი წლებიდან გვხვდება „დერგვისის“ ფორმით. 1782 წლის ერთ-ერთი დოკუმენტის მიხედვით, რომელიც სოფ. ნაბახტვისს აღწერას წარმოადგენს, დერგვისში მდებარეობს ფაფაკერაშვილის მიწის ნაკვეთი. დოკუმენტში ნათქვამია: „დერგვისში ფაფაკერაშვილის მიწა – თავი ოთარისშვილის მიწის მიდგამადინ, ოღეც დგას თავში. ბოლო დერგვისის წყარომდინ, მეორე გვერდი აკოფასშვილის მიწის მიდგამადინ, მეორე გვერდი ხარატიშვილის მიწამდინ“.

დოკუმენტით არ ჩანს, რომ ამ დროს დერგვისი (თერგვისი) დასახლებული პუნქტია.

XX საუკუნის 40-იან წლებში მოსახლეობა გადაასახლეს ახალციხის მხარეში და სოფელიც მოიშალა.

აქ სახლობდნენ გვარები: გელაშვილი, გოგალაძე, ლომიძე, ტყუნაძე, ღამბაშიძე ...

ამავე სახელწოდების სოფელი გვხვდება გორის რაიონში.

**თხილნარა** – ნასოფლარი, დიდი და პატარა თხილნარას ძველი სახელწოდება. მდებარეობს მტკვრისა და ძამის წყალგამყოფის – ყელეთის ქედის ჩრდილოეთ კალთაზე ხცისის სასოფლო საკრებულოს ტერიტორიაზე. ხაშურიდან დაშორებულია 11 კილომეტრით, ზ.დ. 1080 მ.

დიდსა და პატარა თხილნარას ერთმანეთისგან პატარა ხევი ჰყოფს. ხევის მარცხენა მხარეს პატარა თხილნარაა, ხოლო მარჯვნივ დიდი თხილნარა.

შედიოდა ისტორიულ საციციანოში.

ქართული საისტორიო მწერლობა იცნობს. ვახუშტი ბატონიშვილს თხილნარა დატანილი აქვს რუკაზე „თხილვანის“ ფორმით. იოანე ბატონიშვილი გვერძინეთის სოფლების აღწერის დროს აფიქსირებს მას, როგორც თხილვანა. მის დროს (XVIII ს-ის 90-იანი წლები) აქ მოსახლეობა არ ჩანს.

XVIII საუკუნეში თხილნარამ განიცადა ლეკთა დიდი შემოსევები, ისევე, როგორც საერთოდ ამ მხარემ. ამიტომ არ ჩანს აქ მოსახლეობა XVIII საუკუნის ბოლოს. მოსახლეობის ხელმეორედ დასახლება ხდება XIX საუკუნის შუა ხანებიდან. ძირითადად სახლდებიან ოსები.

1886 წლის აღწერით, დიდ თხილნარაში 22 კომლი მოსახლე სახლობს (119 კაცი და 153 ქალი, სულ 346 კაცი), ხოლო პატარა თხილნარაში 16 კომლი (61 კაცი და 59 ქალი, სულ 120 კაცი). ეროვნული შემადგენლობის თვალსაზრისით, ორივე თხილნარაში მოსახლეობა მთლიანად ოსურია.

თხილნარა, როგორც სოფელი, მოიშალა XX ს-ის 90-იანი წლების დასაწყისში.

აქ სახლობდნენ გვარები: ვახაშვილი, ვასიშვილი, ქელესხაშვილი, ქოჩიშვილი, ჩიბირაშვილი, ხაბულაშვილი, ხანიკაძე (დიდი თხილნარა) ბეკოშვილი, თედეშვილი, ფილიშვილი (პატარა თხილნარა).

თხილნარა მცენარეული წარმოშობის ტოპონიმია. მომდინარეობს მცენარისგან – თხილი. ვახუშტისა და იოანე ბატონიშვილების მიერ დაფიქსირებული სახელწოდება თხილვანა იმაზე მიგვანიშნებს, რომ ადგილი თხილიანია. –ოვან სუფიქსი, ძირითადად აწარმოებს მცენარეული წარმოშობის ტოპონიმებს და სახელწოდებაში ამ სუფიქსით მინიშნებულია ამა თუ იმ მცენარის „ქონა“ ამა თუ იმ ადგილას.

რაც შეეხება დღევანდელ სახელწოდებას, – თხილნარას, იგი ნაწარმოებია –ნართ, რომელიც არსებითი სახელის კრებითი ჯგუფის სუფიქსია, ფუძე იგივეა „თხილ“.

თხილი უდევს საფუძვლად შემდეგი სოფლების სახელწოდებებსაც: თხილვანი (ჩოხატაურის რ-ნი), თხილვანა (ხულოს რ-ნი), თხილათწყარო (თერჯოლის რ-ნი), თხილიანი, თხილოვანი (დუშეთის რ-ნი), თხილნარი (ხელვაჩაურის რ-ნი).

ფუძე თხილი საფუძვლად უდევს სახელწოდება თხინალას, რომელიც საკმაოდ გავრცელებული სახელია (გვხვდება თბილისის სიახლოვეს თხინვალი, გორის რაიონში-თხინალა).

„თხინ“ ქართულად თხილს-სათანადო ხესა და მის ნაყოფს ნიშნავს.

თხილნარაში მატერიალური კულტურის ორი ძეგლია შემორჩენილი. პატარა თხილნარაში მდებარეობს წმ. გიორგის ეკლესია (ცნობილია ყურაქედის ეკლესიის სახელწოდებითაც), თარიღდება ადრეფეოდალური ხანით, ხოლო დიდ თხილნარაში შემორჩენილია ღვთისმშობლის ეკლესიის ნანგრევები (გვიანფეოდალური ხანა).

**იმერლიანთკარი** – სოფელი, მდებარეობს თრიალეთის ქედის ჩრდილოეთ კალთაზე, შედის წრომის სასოფლო საკრებულოში. ხაშურიდან დაშორებულია 15 კილომეტრით, ზ. დ. 790მ.

ვახუშტი და იოანე ბატონიშვილები იმერლიანთკარს არ იცნობენ. იგი არც ისტორიულ და ეკონომიკური ხასიათის ძეგლებში გვხვდება.

შედიოდა ისტორიულ საციციანოში.

სახელწოდება სიტყვათშეერთებითაა მიღებული და ეთნონიმური წარმომავლობისაა. სახელწოდება გავორმებულია საზღვრულ – „კარი“–ისაგან, რაც საკმაოდ გავრცელებულია ქართლში.

აქ სახლობენ გვარები: არბოლიშვილი, გაგლოშვილი, ვასიშვილი, გოგოლაძე, გრიგალაშვილი, თიბილოვი, ლაქოშვილი, ჯიოშვილი.

**იტრია** – სოფელი, მდებარეობს ღიხის ქედის აღმოსავლეთ კალთაზე, სურამის ჩრდილო-დასავლეთით მდ. სურამულას ხეობაში. შედის სურამის სადაბო საკრებულოში, ხაშურიდან დაშორებულია 6 კილომეტრით, სურამიდან (უახლოესი რკინიგზის სადგური) 2 კმ-ით. ზ. დ. 760მ.

იტრია ცნობილია მატერიალური კულტურის შესანიშნავი ძეგლით – მარიამ ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიით.

ვახუშტი ბატონიშვილი მის შესახებ წერს: „სურამს ზეით, სამხრეთად მოერთვის ამ წყალს (ე.ი. სურამის წყალს - თ. დ.) უთხვის ხევი. მას ზეით არს იტრიას მონასტერი ყოვლადწმიდისა, უგუმბათო, დიდშენი, აწ ხუცის ამარად“.

იტრიას იცნობს გერმანელი მოგზაური გიულდენშტედტიც, რომელიც ქართლში იმყოფებოდა XVIII ს-ის 70-80-იან წლებში. იგი აღნიშნავს: „სურამიდან სამხრეთ-დასავლეთით მდებარეობს იტრია“.

იოანე ბატონიშვილი სურამის წყალზე აღწერილ სოფლებთან ერთად აფიქსირებს იტრიას, როგორც მოსახლე სოფელს.

იტრიის სახელწოდების შესახებ პროფ. ალ. დლონტი აღნიშნავს, რომ „იტრია ზმნური წარმოშობის ტოპონიმია... წარმოქმნილია იგი ძველი ქართული ტრ. ტრ-ავ-აჰ ტრ-ვ-ა-ს მიხედვით, რაც „მრავალ სღვას“ ნიშნავს (საბა); აღძრვა, დაძრვა, წარტრვა, წარმოდრვა, ტრვა (სღვა), შეტრობა, ჯიუტობა, ურჩობა, თვითნებობა (იღ. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ. 1970, გვ.413,419). ამ რიგისაა ტრიალ–იც, ამავე ბუდეში თავსდება შე-ტრ-ი-ობა, ოღონდ ამ სიტყვას ძველი ქართული სხვა მნიშვნელობით იცნობს. საშუალო და ახალ ქართულს იგი აღარ გადმოჰყოლია.

იტრა აიყარა თუ წავიდა; იტრნეს, აიყარნეს, გინა წარიძრნეს (საბა). ამრიგად, იტრია ნიშნავს ტრვას, წასვლას, მრავალთ სღვას. წასასვლელს. იტრია ტოპონიმის სახით ზემო ქართლში შემონახულია მშვენიერი ძველქართული სიტყვა“.

სახელწოდება იტრიის შესახებ ანგარიშგასაწვევი უნდა იყოს ერთი მოსაზრებაც. კერძოდ, იტრიის ეკლესიისადმი დროთოეთო კათალიკოსის შეწირულობის სიგელიში, რომელიც XVI საუკუნის 80-იანი წლებით თარიღდება, იტრია გვხვდება ნიტრის ფორმით. მომდევნო საუკუნეების დოკუმენტებში კი იტრიის ფორმით. საბას ლექსიკონში სიტყვა „ნიტრიონს“, შემდეგი განმარტება ახლავს: „ყოველთა თეთრთა ღართა სახელი არს ზამბისათა, სელისა და მისთანათასა...“.

თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ იტრიის შემოგარენი ძალზე მდიდარია კირქვით, რაც მთელ არეზარეს სითეთრეს მატებს, სავსებით შესაძლებელია, რომ სოფლის სახელწოდება აქედან მომდინარეობდეს. მართალია, საბა ნიტრიონს „ყოველთა თეთრთა ღართა სახელად“ განმარტავს, მაგრამ თავისუფლად შეიძლება ვიფიქროთ, რომ ნიადაგის თვისების გამო, რაც გამოიხატება მის განსაკუთრებულ სითეთრეში, სოფლის სახელწოდებას სწორედ ეს გარემოება დადებოდა საფუძვლად (ნიტრიონი – ნიტრია – იტრია).

როგორც ითქვა, იტრია ქართულ ისტორიულ წყაროებში პირველად XVI ს-ის 80-იანი წლებიდან გვხვდება, თუმცა იგი მანამდეც არსებობს. დროთოეთო კათალიკოსმა 1525-1527 წლებში გიორგი IX–ისაგან შეიძინა იტრია, რომელიც შემდგომში შესწირა ახლადაშენებულ იტრიის ღვთისმშობლის ეკლესიას. „...მოგვიბოძა და მოგვევიდა (გიორგი IX-ემ-თ.ლ.) სურამის პირსა სოფელი ნიტრია დიდის ფასითა“– აღნიშნავს დროთოეთო კათალიკოსი.

XVI საუკუნის 40–50-იან წლებში იტრიაში რამდენჯერმე განიცადა შაჰ-თამაზის შემოსევები, ხოლო 1579 წელს იგი ოსმალებმა აიკლეს.

XVII საუკუნის 30-40-იან წლებში იტრიაში მკვიდრებიან იმერეთიდან გადმოსული ჩხეიძეები. აქვეა მათი რეზიდენციაც. ამ გვარის წარმომადგენლებმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს ქართლის სამეფოს პოლიტიკურ თუ კულტურულ ცხოვრებაში. 1657 წელს ბეჟან ჩხეიძე და მისი ძმა, იტრიის ეკლესიის წინამძღვარი ნიკოლოზი, ერთად აშენებენ იტრიის ეკლესიის სამრეკლოს, აახლებენ ეკლესიას, გალავანს. სეხნია ჩხეიძე – XVIII ს-ის ცნობილი მოღვაწე და ისტორიკოსი – იტრიელ ჩხეიძეთა სახლიდან არის.

1715 წელს იტრიაში 42 კომლი მოსახლეა (გუნცაძე, ბასილაშვილი (3), მაჭავარიანი, ხარაძე, (2), ირამიშვილი, კაპანაძე (2), ანდრიაშვილი (3), ლომიძე, კალატოზიშვილი (2), კობალაძე (3), გრიგალაშვილი, დეკანოზიძე, მამასახლისიშვილი, ნინაშვილი (2), მკერველიშვილი, ივდარაშვილი, გონაშვილი, ხახუტაშვილი, გურიელიშვილი, კვიციანიძე, ბლიაძე...).

იტრიაში, 1728 წელს, თბილისის ვილიეთის დიდი დავთრის მიხედვით, 37 კომლი ცხოვრობს. აქ სახლობს თავადი სეხნია ქაიხოსროს ძე (ჩხეიძე) ორი ვაჟით. აქვე სახლობს 2 კომლი აზნაური. იტრიის მოსახლეობაც ისეთივე საოსმალო გადასახადს იხდის, როგორსაც სხვა სოფლის მოსახლეობა. გადასახადების საერთო ჯამი შეადგენს 20740 ახჩას.

თამაზ ლაცაბიძე

(გაგრძელება იქნება)



პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი (ფრანგ. ნოტრ-დამი — გოტიკური საკათედრო ტაძარი პარიზის ილ-დე-ლა-სიტეს აღმოსავლეთ ნაწილში, მთავარი შესასვლელით დასავლეთიდან.

პარიზის ნოტრ-დამი ერთ-ერთი პირველი გოტიკური ტაძარი იყო და შენდებოდა მთელი გოტიკური პერიოდის განმავლობაში. პარიზის ნოტრ-დამი ასევე ერთ-ერთი პირველი შენობა იყო მსოფლიოში, სადაც არკ-ბუტანტები, ე. წ. მფრინავი საყრდენები გამოიყენეს გუმბათების გასამაგრებლად.

პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი — კათედრალური ეკლესია — აღმართულია კუნძულ სიტეზე, რომელსაც პარიზის შუაგულში ქმნის მდინარე სენის ორი ტოტი. ტაძრის მშენებლობას საფუძველი ჩაეყარა 1163 წელს. მშენებლობა დაიწყო პატრონიკეთი, რომელიც დამთავრდა 1182 წელს, მთავარი კორპუსი კი — 1196 წელს. დასავლეთის პორტალებიანი ფასადი ძირითადად დამთავრდა 1208 წელს, ცალკეული ნაწილების მშენებლობა კი XIII საუკუნის შუა წლებამდე გაგრძელდა. ძველმა მრავალნაირი გადაკეთება განიცადა. განახლდა XIX საუკუნის შუა წლებშიც. ძირითადად იგი იგებოდა ლაონის კათედრალის (XII ს.) ნიმუშით, რომელსაც ადრეული გოტიკის განვითარების ისტორიაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. თუმცა პარიზის ღვთისმშობლის ტაძარს არ აქვს მისი სიმსუბუქე და სინარჩურე. ვერც შემდეგი დროის (XIII ს. შუა წლებში) არქიტექტურებმა შეძლეს დაეძლიათ მისი მასიური სიმძიმე, როდესაც მის წინახედს ამთავრებდნენ. ჟან დე შელმა და პიერ დე მონტერიელმა შეძლეს XIII საუკუნის მეორე ნახევარში თავიანთი დროის შესაფერისად მიეღწიათ განივი ნავის ფასადის გოტიკური სიმსუბუქისათვის.

პარიზის ღვთისმშობლის ტაძარს ჰქონდა 130 მეტრი სიგრძე, 50 მეტრი სიგანე და 34 მეტრი სიმაღლე. იგი ხუთნაწიანი კათედრალური ტაძარი იყო, მთავარი ნავის კვადრატული უჯრედებით, მასიური სვეტებით და მძიმე კედლებით. ჰქონდა 37 კაპელა-ეკვლერი და მდიდრულად მოწყობილი პატრონიკე. დიდებულ ფასადს ამშვენებდა სამი შიგნით შედრმაკებული ისრულკამარის მთავარკარი, ზემოთ — ოცდარვა სამეფო წაღოს — ნიშის მოქარგული და დაკბილული არშია; მის ზემოთ შუაში დატანებულია უზარმაზარი მრგვალი სარკმელი — ვარდული, მარცხნივ და მარჯვნივ ორი სარკმელი; კიდევ უფრო მაღლა, სარკმლების თავზე, იყო მაღალი და ნარინარი, სამყურას ფორმის ჩუქურთმებით მორთული კამაროვანი გალერეა,



რომლის წვრილ და ფაქიზ სვეტებზე დამყარებული იყო მძიმე ბაქანი; ბოლოს, ამ ბაქანზე აღმართული იყო მთელი ფასადის გვირგვინი ორი დაუთავრებელი, მაღალი, მასიური კოშკი (68 მ), მათ შორის უკან, შუაჯვარედინზე, აღმართული მოხანდა წვრილი შპილი (წვეტი).თაღის სიგრძის სიმაღლე აღწევდა 32.5 მეტრს. გარდა ამისა, ეს დიდი ქმნილება თვალს აჯადოებდა თავისი ურიცხვი ქანდაკებებით, ნაძერწი და ჭედური ჩუქურთმიანი დეტალებით. ყოველივე ერთად შეერთებული კი ქმნის მშვენიერ ანსამბლს.

ის, რაც შეიძლება ყველამ არ იცოდეს პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი ის ადგილი იყო, სადაც იესო ქრისტეს ეკლის გვირგვინი ინახებოდა. ბუნებრივია, კაცობრიობა სწორედ ქრისტეს გვირგვინის გადარჩენისთვის ღოცულობდა („პერიონათა“ გასაგებ-გასაგონად — საფრანგეთი მუხლმოდრეკილი ღოცულობდა წუხელ, ღოცვა არ არის სასაცილო თემა) და როდესაც ტაძრის წარმომადგენლმა განაცხადა — „ის უნდა გადარჩეს, რადგან ინახება საგანძურში, რომელიც ცეცხლგამძლეა“, სამყარომ შეგბოთ ამოისუნთქა. გუმბათი ლე ფიგარო-მ გაავრცელა ინფორმაცია, რომ ხანძრამდე რამდენიმე დღით ადრე ტაძრის სახურავიდან რესტავრაციისთვის მოხსნეს ბრინჯაოს თექვსმეტი ქანდაკება.

ბევრმა არ იცის, რომ პარიზის ღვთისმშობლის ტაძარში ინახებოდა ქრისტეს ჯვრის ნაწილისგან დამზადებული დავით აღმაშენებლის ჯვარი.

ისტორია: 1099 წელს, იერუსალიმის აღების შემდეგ, ჯვაროსნებმა დააარსეს იერუსალიმის სამეფო. წმინდა ქალაქში არსებული ტაძრები დაიკავეს და მათში კათოლიკური ეკლესიები აამოქმედეს. ჯვრის მონასტრისთვის, რომელიც ისტორიულად ქართულად ითვლებოდა და აშენებული იყო იმ ადგილას, სადაც წმინდა ჯვრის ხე გაიზარდა, ხელი არ უხლიათ, რადგან, საქართველოს მეფე დავით აღმაშენებელთან ჰქონდათ მჭიდრო პოლიტიკური და სამხედრო კავშირი — ქართული ჯარის ნაწილები ეხმარებოდნენ ჯვაროსნებს იერუსალიმის აღებისას. წმინდა მიწაზე არსებობდა სხვა ქართული სავანეებიც. ჯვაროსნები დიდ სიმდიდრეს სწირავდნენ ქართულ მონასტრებს, რის გამოც, ისინი მოიხსენიებოდნენ იქაურ ქართულ ალაპებში.

1125 წელს გარდაიცვალა დიდი ხელმწიფე, დავით მეოთხე. მეთორმეტე საუკუნის უცხოურ ცნობებს შორის მოიპოვება ერთ წერილი „ანსელის წმინდა საფლავის კანტორისაგან, პარიზის ღვთისმშობლის კრებულს. იერუსალიმიდან“; რომელსაც ათარიღებენ 1108 წლით. ის გვამცნობს იერუსალიმიდან პარიზში გაგზავნილი ცხოველსმყოფელი ჯვრის ნაწილის შესახებ. წერილში მოხსენიებულია დავით აღმაშენებელი და მისი ქვრივი. აღნიშნული წერილის შესახებ აზრთა სხვადასხვაობა არსებობს ისტორიკოსებს შორის. ზოგი თვლის, რომ ავტორს შეცდომა მოუვიდა, რადგან 1108 წელს დავით აღმაშენებელი ცოცხალი იყო; ზოგს მიაჩნია, რომ წერილი უფრო გვიანაა დაწერილი, მას მერე, რაც საქართველოს ტახტზე ავიდა დიმიტრი პირველი, დავით მეოთხის ძე და დათარიღება მცდარი. მეორე თვალსაზრისი უნდა იყოს უფრო სწორი. წერილი იერუსალიმიდან ფრანგმა სასულიერო პირმა, ანსელუსმა გაავრცელა პარიზში. ქართული თარგმანი გადმოწერილია ისტორიკოსისა და საზოგადო მოღვაწის, ზურაბ ავალიშვილის, 1925 წელს, გამოცემული წიგნიდან „ჯვაროსანთა დროიდან“ (შემოკლებით):

„ანსელუსი, იესო ქრისტეს სახელოვანი საფლავის კანტორი და ხუცესი, გაღონ ეპისკოპოსს, სტეფანე მთავარდიაკონს და პარიზის ღვთისმშობლის სრულიად კრებულს პატივისცემას და სიყვარულს უცხადებს, მერე დასძენს: იმ ნიჭთაგან ღმერთმა რომ მომცა, ნიჭი ერთი ფრიადი და შეუდარებელი,

ესე იგი ჯვარი, წმინდა ძელითგან ქმნილი, მე, თქვენმა მოყვარემ, თქვენი ეკლესიის, თქვენდა და თქვენი ქალაქის საპატიოდ, სასახელოდ და ასამაღლებლად, ანსელუსს, ერთგულსა თქვენსა გაავატანე, რომლისაგან თქვენი წიგნი ჩემდამი გამოგზავნილი მივიღე.

როგორც ბერძენთა და ასურთა ნაწერები გვასწავლიან, ქრისტეს ჯვარი ოთხ ძელთაგან ყოფილა შემდგარი. მათში ერთი ის იყო, რომელზედ პილატემ ზედწერილი დაწერა, მეორე — სად იესო ქრისტეს გაშლილი მკლავნი და ხელები მიმაგრებული იყო; მესამე, რომელს მისი ტანი ეკიდა, და მეოთხე — რომელში თვით ჯვარი გამაგრებული იყო და რომელიც გვერდის და ფერხთა სისხლის დაღვრით

### - რა აქავშირებს საქართველოს ნოტრ-დამთან - რბ დბბრბბ სბზრბრბბთბბ და მსოფლიომ?

გავლილია და კურთხეული. ხოლო ის ჯვარი, თქვენ რომ გამოგიგზავნეთ, ორი ძელითგან არის გაკეთებული. იქ რომ ჯვარია ჯვარში ჩადებული, ჩადებული იმ ძელისა არის, რომელზედ ეკიდა, სადაც ჩართულია იმ ძელისაა, ფეხთა ქვეშ რომ იყო და ჯვარს რომ ამავრებდა; ორივე პატიოსანი, ორივე წმინდა.

ამ ჯვარსა დავით, მეფე ქართველთა სანამ ცოცხალი იყო, უაღრეს თაყვანისცემას და სიყვარულს უძღვნიდა, ის დავით, რომელს, მისი წინაპრებივით, კასპიის კარი — გოგსა და მაგოვს რომ ზღუდავს — ეჭირა და დარაჯობდა, რასაც შვილი მისი აქამომდე ასრულებს, ვისი ქვეყანა და სამეფო მედელთ (იგულისხმება მიდია) და სპარსთა წინააღმდეგ ჩვენი, ასე ვთქვათ, წინა ბურჯია.

შემდგომად დავითის სიკვდილისა და მისი შვილის გამეფებისა, მეუღლემ მისმა, უფრო სიწმინდის, ვიდრე გვარი შვილობისათვის სათაყვანობი, წესი მონაზონობისა მიიღო, სარწმუნოების სამოსელი იხედა და მცირეოდენ (მხლებელით) იერუსალიმს მივიდა, იმ ჯვარის და ბევრი ოქროს თანწამოღებით, და იყო მისი წოდელი არა შინ დაბრუნება, არამედ აქ მშვიდობასა და მყუდროებაში სიცოცხლის დასრულება.

იმ წამოღებულ ოქროთგან წმინდა ქალაქის მონასტრებს წილები დაურიგა, ასევე გლახაკთა და მგზავრთათვის მისაცემი გაიღო. შემდგომად ამისა, უფალ პატრიარქ გიბელინის ხელქვეით ქართველ დედათა მონასტრში, იერუსალიმს რომ არის, შესულა. მალეც, დათა და პატრიარქის თხოვნით წესი მონაზონობისა მიიღო.

ბოლოს წამოღებული სულ დაარიგა, გასცა და მონასტრის საჭიროებისათვის დახარჯა და ოდეს ჩვენი ქვეყანა შიმშილობამ შეაწუხა, თვითონ მისი ხელქვეითებით გაჭირვებაში ჩავარდა, და თუმცა, ბევრი რამ საჩუქრად ან სესხად მიეღო, მაინც მისი ქველის გრძნობით იძულებული გახდა იმ მონასტრის მოთხოვნილებებისათვის, მას რომ ებარა, ისე მოქცეულიყო, როგორც საკუთარ ხორციელ საჭიროებისათვის არასგზით არ იმოქმედებდა.

ამრიგად ის ძელი, არა ვითარი ფასის შესადარი, ამ მიზეზით ფასად იქცა და აჰა გამოგიგზავნეთ.“

შემდეგ ანსელუსი აღწერს წმინდა ჯვრის ისტორიას. მისი თქმით, კონსტანტინე დიდის დედამ, დედოფალმა ელენემ, როცა აღმოაჩინეს წმინდა ჯვარი იერუსალიმში, ორად გააჭრევინა, ერთი ნაწილი კონსტანტინოპოლს წაიღო, მეორე კი იერუსალიმში დატოვა. შემდეგ ქრისტიანებმა, რათა უამრავი შესაძლო ხიფათის გამო არ დაკარგვოდნენ, იერუსალიმის ძელი ჭეშმარიტის ჯვარი, დაჭრეს ნაწილებად და პატარა ჯვრები გააკეთეს, მათგან ქართველთა პატრიარქს აქვს ერთი, ქართველთა მეფესაც ერთი ჰქონდა, ახლა კი თქვენი საკუთრება არისო. ჯვრის წადება პარიზში ანსელუსს ხუცესს დაუვადებია ბერ ანსელისთვის, რომელიც გარდაცვლილია და მისია დაუსრულებია მის შვილს, ფულკს. ანსელუსი ითხოვდა, მოესხენიებინათ წარწერაში და გარდაცვალების მერე, ღოცვებში (ღმერთმა მიხედოს მათ სულებს და ყველა მორწმუნეს სულს).

ზურაბ ავალიშვილს უკვირდა, როგორ შეიძლება, ასეთ უწმინდეს საუნჯეს, რელიკვიას შელოდნენ საქართველოს სამეფო კარზე, გაეგზავნათ იერუსალიმში და მერე კი ქვრივ დედოფალს გაეყიდაო. და იქვე პასუხობს, ალბათ, ლაპარაკია მხოლოდ ჯვრის პატარა ნაწილზე, რადგან ქრისტეს ჯვრის ნაწილები, საქართველოში კიდევ არსებობს: „ერთი პატარა ჯვარი (წმინდა კონსტანტინესა და წმინდა ელენეს სახეებით) ხახულის ხატს რომ ამკობს, მაგრამ, ყველაზე სახელოვანი ამ დარგისა, რასაკვირველია, თამარ მეფის საკუთარი, გულსაკიდი ჯვარია, ხოფის მონასტრის (სამეგრელოში) ბერებმა ჩვენს დრომდე ერთგულად რომ შეინახეს და რომლის ასომთავრული წარწერა შემდეგია: „ძელო ჭეშმარიტო, ძალო ჯვარისაო, შენითა წინაწარმდომითა ყოველადვე შემწე და მფარველ ექმენ მეფესა და დედოფალსა თამარს“.



მაშასადამე, წმიდა ჯვრის სხვა ნაწილებიც არსებობდა საქართველოში, ამიტომ, დიმიტრი მეფე, დავითის ძე, არ შეეწინააღმდეგებოდა დედინაცვალს, გურანდუხტ დედოფალს, იერუსალიმში წაეღო ერთ-ერთი მათგანი. პარიზში სიწმინდე დაუსვენებიათ ბაზილიკაში, რომლის ადგილას აუშენებიათ პარიზის ღვთისმშობლის დიდებული ტაძარი. საფრანგეთის რევოლუციის დროს ტაძარი გაიძარცვა, მაგრამ, რელიკვია გადარჩა.

საინტერესოა, რომ საფრანგეთის დიდ რევოლუციამდე პარიზის ღვთისმშობლის ტაძარში, თურმე, არსებულა, ასევე წმინდა ჯვრის სხვა ნაწილიც, მანუელ კომნენოსის (ალბათ, ბიზანტიის იმპერატორის, 1143-1180) ბერძნულ წარწერიან ჯვარში ჩასმული. ალბათ, ეს ორი სხვადასხვა რელიკვიაა. ეს რელიკვიაც შემონახულია.

საინტერესოა ზემოთ აღნიშნული ფრანგული ცნობა, რომ წმიდა ჯვრის ორი ნაწილი ინახებოდა საქართველოში. წერილში საინტერესოა გადმოცემა საქართველოს სამეფო ოჯახის შესახებაც, რომლის მიხედვით, დავით აღმაშენებელი დიდად მორწმუნე მეფეა, მისი ქვრივი კი პატივსაცემია უფრო მეტად თავისი მორწმუნეობით, ვიდრე მთავრული წარმოშობით. იქვე, საქართველოს სამეფო გამოცხადებულია იერუსალიმის ქრისტიანული სამეფოს ბურჯად, დავით აღმაშენებელს და ქართველ მეფეებს უკავიათ კასპიის კარი, და გოგისა და მაგოვის ველური ხალხების გადმოსვლისგან იცავენ იერუსალიმს, და ევროპას.

დარეჯან მეფარიშვილი



### - ერთი დღე საბავშვო ბაღში - მეშვიდე საბავშვო ბაღი - აქ ბავშვებს მოუხარიათ

იმ სახარბიელო ვითარებას, რომელიც, დღესდღეობით, ჩვენს მუნიციპალიტეტშია, საბავშვო ბაღების მოვლა-პატრონობის მხრივ, დარწმუნებული ვართ, არცერთ სხვა მუნიციპალიტეტში არ აქვს პრეცედენტი. რამდენიმე წლის უკან, როდესაც ა(ა)იპ „საბავშვო ბაღების გაერთიანება“ ჩამოყალიბდა, ცვლილებები შეეტყო უკლებლივ ყველა საბავშვო ბაღს, ზოგს ძირფესვიანი რეაბილიტაცია ჩაუტარდა, ზოგს კოსმეტიკური რემონტი, ზოგიც კი - თავიდან აშენდა. რეაბილიტაცია ჩაუტარდა ხაშურში, მეშვიდე საბავშვო ბაღს, რომელშიც ლომის წილი ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიას მიუძღვის.



დავამატებთ, რომ საბავშვო ბაღის რეაბილიტაციის პროექტი მუნიციპალური ფონდისა და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით მიმდინარეობდა. პროექტმა ჯამში 907 000 ლარამდე შეადგინა. რეაბილიტაცია ესტუმრა მეშვიდე საბავშვო ბაღს და დეაწლმოსილ მენეჯერს, ლიანა საბანაძეს ესაუბრა. ქალბატონი

ლიანა მოგვიყვანა იმ სარემონტო სამუშაოების შესახებ, რომელმაც საბავშვო ბაღის ცხოვრება მთლიანად შეცვალა.

- ქალბატონო ლიანა, ნამდვილად, ერთ-ერთი საუკეთესო ბაღია ხაშურში, გვიამბეთ სარეაბილიტაციო სამუშაოების შესახებ.

- რეაბილიტაციას ჩვენი ბაღი, ნამდვილად საჭიროებდა. სამუშაოები გასული წლის გაზაფხულზე დაიწყო და საბავშვო ბაღი ამავე წლის შემოდგომაზე გაიხსნა. პროექტის ფარგლებში, მოეწყო ბაღის მიმდებარე ტერიტორია, მოპირკეთდა შენობის შიდა და გარე კედლები, შეიცვალა კარ-ფანჯარა და წყალგაყვანილობა, დამონტაჟდა გათბობა-გაგრილების სისტემა. შენობა ადაპტირებულია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის. ამჟამად კი, ბაღი აღჭურვილია ყველა საჭირო ინვენტარით: თეთრეულით, ჭურჭლით, სათამაშოებით. მშობელს, ფაქტობრივად, არაფრის მოტანა არ უწევს, ბავშვი ყველაფრით უზრუნველყოფილია.

- რამდენი აღსაზრდელია ამჟამად საბავშვო ბაღში და რამდენად კვალიფიციური აღმზრდელები ემსახურებიან მათ..

- მიმდინარე წელს, 190 ბავშვი ირიცხება ჩვენს საბავშვო ბაღში. სულ 6 ჯგუფია. პედაგოგები, ცხადია, ყველა კვალიფიციურია და შესაბამისი განათლება

აქვთ მიღებული, ხოლო გადამზადებები და ტრენინგები კვალიფიკაციის ასამაღლებლად ხშირად უტარდებათ.

- ჩვენ ძირფესვიანად დავათვალიერეთ ბაღის შიდა სამზარეულო და ვხედავთ, რომ სანიტარული ნორმები სრულადაა დაცული...

- რა თქმა უნდა, სანიტარული ნორმები მკაცრად კონტროლდება. ჩვენი ერთ-ერთი პრიორიტეტი სწორედ ეს გახლავთ. სურსათის უზრუნველყოფის სამსახურიც აქტიურად გვაშრომებს, მოდუნების უფლება ნამდვილად არ გვაქვს, მაშინ როდესაც საქმე ჩვენს მომავალს ეხება.

- თქვენი საბავშვო ბაღის ეზო ყველასაგან გამორჩეული და ლამაზია, შემოსულებს ნამდვილად თვალში მოგხვდა...

- დიახ, საკმაოდ დიდი ტერიტორია უკავია ეზოს და ჩვენ ვთხოვეთ ბატონ დავით ნოზაძეს, ბაღების გაერთიანების დირექტორს, რომ ნება დაერთო მეზღვე აგვეყვანა თანამშრომლად, ისიც დაგვთანხმდა, ასე, რომ ჩვენი ბაღი რეგულარულად სუფთავდება და ყოველდღიურად ლამაზდება, განსაკუთრებით ზაფხულში და ვარდობისას. რაც შეეხება თანამშრომლებს, 28 ადამიანია ჩვენს ბაღში დასაქმებული.

- ქალბატონო ლიანა, როგორც ვიცით, ბაღში მუშაობის უდიდესი გამოცდილება გაქვთ...

- ამ საბავშვო ბაღში 1965 წლიდან დავიწყო მუშაობა, თავდაპირველად, აღმზრდელ-მასწავლებლად, ხოლო, 2003 წლიდან ბაღის მენეჯერი გახლავართ. გა-



მოცდილება, რა თქმა უნდა, დიდა და ვცდილობ ეს გამოცდილება ბავშვების სწორი განვითარებისკენ მოემართოს, საბავშვო ბაღი კი პირველი საფეხურია ბავშვის პიროვნებად ჩამოსაყალიბებლად.

### ს პ ე ც ი ა ლ ი ს ტ ი გ ვ ი რ ჩ ე ვ ს

## აპრილის თვის სამუშაოები სოფლად

აპრილის თვეში ბუნება მთელი ძალით იღვიძებს, ხეც ცოცხლდება და ბალახიც.

ფერმერის საგაზაფხულო მიზანდასახული შრომა საფუძველს ჩაუყრის მთელი წლის მოსავალს.

თავთავიანი კულტურების სამთარგამოვლილი ნათესი გაზაფხულს



დასუსტებული ხვდება, საჭიროა ზრუნვა ნათესის სწრაფი გამოჯანსაღებისა და ზრდა - განვითარების დასაწყისებლად აუცილებლად გამოკვებეთ ჯეჯილი აზოტის სასუქით, გამოკვებას თან უნდა სდევდეს ნათესის მწკრივების გარდი - გარდმო დაფარცხვა.

თუ ნაკვეთში მეძინდვრია ან თავის მოქმედ სოროებს აღმოაჩენთ, ჩაატარეთ მინდვრის მდრღნელების საწინააღმდეგო ღონისძიებები.

ბაღში ხეხილის გასხვლა დამთავრებულია და მაინც დაათვა-

ლიერეთ, მოჭერით დარჩენილი ხმელი ტოტები, ხის ძირებში შეიტანეთ ნაცარშერეული გადამწვარი ნაკელი, ჩაბარეთ ან ჩათოხნეთ და მორწყეთ.

მავენებელ - დაავადებების საწინააღმდეგოდ, გააგრძელეთ ხილის ბაღებისა და ერთეული ნარგაობის კომბინირებული წამლობები.

ამ პერიოდში შეგიძლიათ დარგოთ ყველა სახის ხეხილის ნერგები - ვაშლი, მსხალი, ქლიავი, კაკალი, კენკროვნები და ა. შ.

თხილის, ღოღნაშოს, კოლოს, სხვა ხეხილის ამონაყრები ამოთხარეთ და გადარგეთ თქვენთვის სასურველ ადგილზე.

დარგვის შემდეგ, აუცილებელია მიწის მოტკეპნა და მორწყვა წყლით.

პატარა სანერგის მოწყობა თქვენ თვითონაც შეგიძლიათ, საამისოდ შეარჩიეთ ნაკვეთი და გაანოყიერეთ ნიადაგი ნაკელით, ნაცრით, ჩაბარეთ, გააფხვიერეთ და დათესეთ მაქალოს და კულტურული ვაშლის თესლი, კაკალი და ბალი თუ ტყემალი.

პირდაპირ შეგიძლიათ დააფესვიანოთ კომშის, ლეღვის, ბროწეულის და სხვა ხეხილის კაღმები.

ვენახი ქართველი კაცისთვის ყველაფერია, თუ აქამდე ვაზი არ გაგისხლავთ, დაუყოვნებლივ შეუდექით ამ საქმეს, თითოეული ძირი უნდა დაიტვირთოს შეძლებისდაგვარად, სამამულე და სანაყოფე რქებისა და კვირტების რაოდენობა ვაზის სიძლიერეზე დამოკიდებული.

თუ გადასაწვევად ან მხარის გამოსაყვანად არ გჭირდებათ, შტამბზე ამოსული ყველა რქა მოჭერით.

აღარ გადადოთ კარტოფილის დარგვა, დათესეთ სიმინდი, სხვა ერთწლიანი სასოფლო - სამეურნეო კულტურები.

გააფხვიერეთ საჩითილე კვლები, გამოკვებეთ პომიდორის ჩითილები წყალში განზავებული დადუღებული ფრინველის ნაკელით, ჩითილები შეაჩვიეთ ბუნებრივ კლიმატს.

მწვანელი დათესეთ ბაზო - კვლებზე.

აპრილის მესამე დეკადაში შეგიძლიათ დათესოთ ლობიო.

მეცხოველეობა - საკვებწარმოება უფრო მეტ ყურადღებას იმსახურებს. საძოვარზე პირუტყვის ძოვება უნდა დაიწყოს ბალახის ვეგეტაციის დაწყებიდან 20 დღის შემდეგ, ეს პერიოდი კი 25 - 30 აპრილიდან დადგება.

შეადგინეთ ფერმერის დღიური, დაიწყეთ ჩატარებული სამუშაოების და გაწეული ხარჯების აღრიცხვა, რათა წლის ბოლოს შეძლოთ დადგენა, რამდენად შემოსავლიანი იყო თქვენთვის მეურნეობა, რამდენად დაფასდა თქვენი შრომა. გარდა ამისა, ეს დაგეხმარებათ, შემდეგი წლის სამუშაოების უკეთ და ეფექტურად დაგეგმვაში.

მიიღეთ მონაწილეობა აგრარული დარგის სამთავრობო პროგრამების განხორციელებაში, ამ საკითხებზე სრულ ინფორმაციას მიიღებთ საინფორმაციო - საკონსულტაციო სამსახურის სპეციალისტებისგან.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხაშურის საინფორმაციო - საკონსულტაციო სამსახური



- ძიუდო -

# ლუკა მაისურაძე: - მე ქართული სტილი მიყვარს, კონტაქტური და აქტიური

ლუკა მაისურაძის ბოლოდროინდელმა წარმატებებმა ხაშური კი არა, მთელი საქართველო აღაფრთოვანა. ეკატერინბურგის და ანტალიის გრან-პრისზე მიღწეულმა შედეგებმა მთელ მსოფლიოს ანახა, რომ ძიუდოს სამყაროში, 81 კგ წონით კატეგორიაში, ახალი ვარსკვლავი გამოჩნდა, რომელმაც სხამადლა განაცხადა: "ზიჯი ვარ და მოვდივარ, ბიჭები ხართ და დამხვდითო"... ეს რეფრენი თუ ცნობილი გამოთქმა იქით იყოს და ლუკას ასეთი პროგრესი, სხვისი არ ვიცით და ჩვენთვის მოულოდნელი არ ყოფილა. მის ნაბიჯებს წლებია თვალს ვადევნებთ და მისი შრომისმოყვარეობიდან გამომდინარე, დარწმუნებული ვართ, რომ შედეგი აუცილებლად მოვიდოდა.

ანტალიის გრან-პრის შემდეგ, ბევრმა მკითხველმა მოგვწერა, რომ სასურველი იყო, თუ



უფრო ახლოს შევახვედრებდით ლუკასთან და ბევრი კითხვა, რომელიც ამ ინტერვიუშია, სწორედ მკითხველის და გულშემატკივრის დასმულია:

- პირველ რიგში, გილოცავთ ამ წარმატებას...
- მადლობა თქვენც და ყველას, ვინც პირადად თუ სოციალური ქსელებით მომილოცა... ლუკა, მოდი, შენი ოჯახით დავიწყოთ, გაგვაცანი შენი ოჯახის წევრები.
- მამა, მამუკა, ყოფილი სპორტსმენია-სპორტის ოსტატი ძიუდოში. თავის დროზე, საკავშირო პირველობაც აქვს მოგებული ჭაბუკთა შორის. დედა-ნათია-დიასახლისია. მყავს უფროსი ძმები-პავლე და ლაზარე.
- სხვათაშორის, მე კარგად მახსოვს მამუკას ჰიდაობა და ჩემი გადასახედიდან, ჰიდაობის შენი სტილი, ერთგვარად ჰგავს კიდევ მამისას...
- კი, ბევრი ამბობს ამას.
- მარტო შენ გააგრძელე მამის გზა?
- არა, ჩემი ძმებიც აქტიურად იყვნენ დაკავებული სპორტის ამ სახეობით. მეც მათი წამბაძველობით და სურვილით, რომ მათ დავმსგავსებოდი, ჩავეხე ამ ფერხულში. სამწუხაროდ, ისინი ადრე ჩამოსორდნენ აქტიურ სპორტს, ასე რომ, ოჯახში მარტო მე ვაგრძელებ, ასე ვთქვათ, ტრადიციას.
- გაიხსენე შენი პირელი ნაბიჯები ძიუდოში.
- რვა წლისამ დავიწყე ვარჯიში ბუგლარ ხარშილაძესთან. სხვა მწვრთნელი, პრაქტიკულად, არც მყოფია. თუ რამეს მივაღწიე, ეს სწორედ მისი დამსახურებაა და მადლობა მას ამისთვის.



- პირველი მოგებული ტურნირი?

- ესეც მაშინ იყო და ის სიხარული დღემდე მახსოვს. ზუსტად ვერ გეტყვით, რა დღესასწაული იყო, მაგრამ ხაშურის კულტურისა და დასვენების პარკში, ნახევრიან მოედანზე გაიმართა პირველობა ქართულ ჰიდაობაში და 29 კილოგრამში ჩემი პირველი გაგხდი. კვლავზე

- ავდიოდი სიხარულით.
- შემდეგ?
  - ჭაბუკობის ასაკი, პრაქტიკულად, გამოცდა, რადგან ტრავმა მქონდა, რომელსაც დიდხანს ვმკურნალობდი.
  - რა ტრავმა იყო?
  - ხერხემლის თიაქარი, რომელიც არცთუ იშვიათი დაავადებაა სპორტსმენებში და საშინელი ტკივილები ახლავს. დიდი დრო დასჭირდა მის მკურნალობას. საბედნიეროდ, უკან დარჩა ის პერიოდი, თუმცა ისეთი დაავადებაა, სულ ყურადღება უნდა.
  - დადგა ახალგაზრდობის პერიოდი...
  - ახალგაზრდობაში ორჯერ საქართველოს პირველობა მოვიგე, მერე ევროპა, პლიუს პრიზიორობა და მსოფლიოს პრიზიორობა.
  - ეგ მსოფლიოც კარგად გვახსოვს. იმ ბელგიელთან შედგა ხომ რევანში, ანტალიაში?
  - დიახ, შედგა! კასიე მატიასი კარგი სპორტსმენია და ორჯერ მქონდა მასთან წაგება-ევროპაზე და მსოფლიოზე. ანტალიაში იპონით მოვუგე.
  - უახლოესი ტურნირი?
  - უახლოესი ტურნირი ევროპის ოლიმპიური თამაშებია, რომელიც 22 ივნისს იწყება მინსკში.
  - უკვე დაიწყო ნაკრებმა ამ უმნიშვნელოვანესი შეჯიბრისთვის მზადება?
  - ხვალ (ინტერვიუ 17 აპრილსა ჩაწერილი) ბაკურიანში მივდივართ და იქ ვიწყებთ...
  - რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ნაკრები იაპონიაშიც მიემგზავრება, სადაც ოცდღიან შეკრებას გაივლიან.
  - არა, ვინც ევროპის ოლიმპიადაზე გამოვდივართ, საქართველოში მოვემზადებით.
  - ლუკა, ეკატერინბურგში საოცარი გდება ანახე მსოფლიოს. რა ჰქვია ამ ილეთს?
  - ეს ქართული ჰიდაობის ელემენტია-ასე ვთქვათ, თქო-მოგვერდი.
  - ისე, შენი საყვარელი ილეთი რომელია?
  - ესეც ქართული ჰიდაობიდანაა - გარე სარმა. იაპონელები "ოსოტო გარის" უწოდებენ.
  - მოკლედ, ქართული ჰიდაობა დიდი დოზითაა შენს არსენალში...
  - კი, ნამდვილად ასეა!
  - შენთვის უხერხული სტილი რომელია?
  - არ მიყვარს იმათთან ჰიდაობა, ვინც კონტაქტში არ შემოდიან და ასე ვთქვათ, შორიდან ჰიდაობენ. მე ქართული სტილი მიყვარს-კონტაქტური და აქტიური.
  - როგორც წესი, ეველა სპორტსმენს აქვს შეჯიბრებისწინა რიტუალი, შენ თუ გაქვს?
  - მაქვს, მაგრამ არ მინდა ამაზე საუბარი.
  - რომ არ დაინავსო?
  - თუნდაც (იცინის)
  - ლუკა, ეს კითხვა ბევრ თინეიჯერ გოგონას აინტერესებს - შეყვარებული გყავს?
  - არა, ვერ მოვიცალე, ჯერ-ჯერობით მაგისთვის(სხამადლა იცინის).



- ეს ბევრს გაახარებს. ისე, დარწმუნებული ვარ, შენი „ფეისბუქი“ აკლებული ექნებათ გოგონებს. დავანებოთ თავი ამ თემას. შენს ანტალიაში გამოსვლას მთელი ხაშური თუ არა, ნახევარი მაინც ადევნებდა თვალს და დიდი სიხარული იყო ფინალის შემდეგ. გრძნობ გულშემატკივართა თანადგომას და რას ნიშნავს შენთვის მათი მხარდაჭერა?
- ნებისმიერი სპორტსმენისთვის გულშემატკივართა მხარდაჭერა ბევრს ნიშნავს. რა თქმა უნდა, ვგრძნობ და მადლობელი ვარ მათი. ეს ისეთი სტიმულია, რომლის გარეშე გამარჯვებები არც იქნება. ამიტომ, კიდევ ერთხელ მადლობა ყველას.
- ლუკა, ჩვენი მხარდაჭერა არასოდეს მოგაკლდება. შენს გულშემატკივრებს, რა თქმა უნდა, ნერვიულობა შეგვხვდება, მაგრამ ჩანდაბას ჩვენი ნერვიულობა, ოღონდ ოცნება აგვიხდინე და ერთი ოლიმპიური ჩემპიონი აჩუქე ჩვენ ქალაქს (ხეზე ვაკაკუნებ, რომ არ დავნვსო). დღეს კი მადლობა ინტერვიუსთვის და მოუთმენლად ველით ევროპის ოლიმპიურ თამაშებზე შენს გამოსვლას.
- მადლობა, თქვენ!

გოგი გოგოლაძე

საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის ხაშურის რაიონული ორგანიზაცია, თავმჯდომარე ინეზა ელისაშვილი სამხმმარს უცხადებს მე-5 საბავშვო ბაღის მენეჯერს, ქალბატონ მაია ფატარაძეს მეუღლის,

ომარ ხაჩიძის

გარდაცვალების გამო.